სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მუსიკისმცოდნეობა

***სპეციალობები*:**

მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მუსიკის თეორიის/ისტორიის სპეციალობით კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციას - ***ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი მუსიკოლოგიაში;*** ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით - ***ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში;*** საეკლესიო მუსიკოლოგიის სპეციალობით - ***ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი საეკლესიო მუსიკოლოგიაში.***

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:

მუსიკის თეორიის სპეციალობით – პროფესორი ივანე ჟღენტი; მუსიკის ისტორიის სპეციალობით _ პროფესორი მარინა ქავთარაძე
ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით _ პროფესორი ნატალია ზუმბაძე
საეკლესიო მუსიკოლოგიის სპეციალობით – ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე

სამაგისტრო პროგრამის მიზანი:

მუსიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლესიო მუსიკოლოგიის სპეციალობით ***ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის*** აკადემიური ხარისხის მქონე მუსიკისმცოდნე-მკვლევარის მომზადება. ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია მოღვაწეობა განახორციელოს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დარგობრივი ჟურნალისტიკის და სარედაქტორო საქმიანობის სფეროებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მუსიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადენიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურებში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს ცალკეული ეპოქის მუსიკალური ხელოვნების, მუსიკალური აზროვნების, მუსიკალური ჟანრებისა და ფორმების განვითარების საფუძვლიანი და ღრმა ცოდნა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში;
- აქვს მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების სისტემური ცოდნა ეპოქების მიხედვით;
- არჩეული სპეციალიზაციის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების საფუძვლიანი ცოდნა;
- აქვს ჰუმანინარული დისციპლინების სფეროში ზოგადი ცოდნა;
- აქვს მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ინფრასტრუქტურის, სოციალური ფაქტორების ცოდნა;
- ***ეთნომუსიკოლოგიის*** სპეციალობით სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ეროვნული, საქართველოში მოსახლე ეთნოსებისა და მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- აქვს ეთნომუსიკოლოგიის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ცოდნა;
- აქვს ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- აქვს ქართული ხალხური საკრავების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- აქვს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის სფეროში საფუძვლიანი თეორიული ცოდნა;
- დაეუფლა ეთნომუსიკოლოგიის მომიჯნავე დარგების - ქართული ეთნოგრაფიის, ზეპირსიტყვიერების, მითოლოგიის, დიალექტოლოგიის - საფუძვლებს.
- ***საეკლესიო მუსიკოლოგიის*** სპეციალობით სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს საეკლესიო გალობის ისტორიის და თეორიის, ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა;
- იცის საეკლესიო მუსიკისათვის დამახასიათებელი ჟანრებისა და ფორმების კანონზომიერებები;
- დაეუფლა მუსიკალური პალეოგრაფიის, ქრისტიანული სიმბოლიკისა და კანონოკის ცოდნას სასულიერო მუსიკის კონტექსტში;
- აქვს ძველი ქართული ენის და ლიტერატურის ცოდნა;
- აქვს ქართული შუასაუკუნეების არქიტეკტურის ცოდნა;
- აქვს ქართული საეკლესიო გალობის პრაქტიკული ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სტუდენტი დაიცავს პროფესორის ხელმძღვანელობით შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს;
- ჩაატარებს სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრების მუსიკალური ნაწარმოებების/საგალობლების/ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების თეორიულ/ისტორიულ/ლიტურგიკულ ანალიზს;
- ჩაატარებს ისტორიულ, თეორიულ სამეცნიერო კვლევას პროფესორის ხელმძღვანელობით;

- გამოიმუშავებს სამეცნიერო პრობლემის ირგვლივ საჭირო ინფორმაციის მოძიების პრაქტიკულ უნარს;
- გამოიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულების უნარს;
- მოამზადებს ანალიტიკურ სტატიებს, სამეცნიერო ნარკვევებს, დაწერს კრიტიკულ წერილებს მუსიკალური ხელოვნების სფეროში, მიიღებს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში;
- შეიძენს უნარს დამოუკიდებლად იმუშაოს საარქივო მასალებზე და ხელნაწერებზე;
- შეიძენს კულტურის დაწესებულებების მენეჯმენტის, მარკეტინგის, სტრატეგიული მართვის კომპეტენციებს;
- ეთნომუსიკოლოგი პროფესორის ხელმძღვანელობით ჩაერთვება მუსიკის შეკრებასა და სანოტო კრებულების მომზადებაში;
- ეთნომუსიკოლოგი შეიძენს საექსპედიციო ფოლკლორული მასალების გაშიფრვის და ანალიტიკური რუკების შევსების უნარს;
- კურსდამთავრებული შეიძენს მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს.

დასკვნის უნარი

- დამოუკიდებლად შეუძლია რთული მონაცემების ანალიზი მუსიკისმცოდნეობის დარგის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- დამოუკიდებლად შეუძლია ინოვაციური მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება მოცემული საჭიროებისათვის და პრობლების გადასაჭრელად;
- შეუძლია წინააღმდეგობრივი მონაცემების ინტერპრეტირება;
- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ დაწერილი სამეცნიერო სტატიების, ნარკვევების, კვლევის მასალების შეფასება;
- გააჩნია აზროვნების კულტურა, განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი;
- აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია;
- აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის, მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდის უნარი;
- აქვს მის მიერ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომების პრეზენტაციის უნარი;
- აქვს სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან, მედიის პერიოდულ ორგანოებთან) კომპეტენტური კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი , დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება სამუსიკისმცოდნეო დარგისთვის სპეციფიკურ კონტექსტში;
- საკომუნიკაციო დონეზე ფლობს ერთ უცხო ენას, გააჩნია უცხო ენაზე სამეცნიერო ტექსტების თარგმნის და შედგენის უნარი;
- გააჩნია საჯარო ურთიერთობების, კოლექტივში კოლეგიალური, შემოქმედებითი თანამშრომლობის უნარი.

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი უნარები, რომელიც მუსიკისმცოდნეობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს უნარი თავად დაგეგმოს სწავლის სტრატეგია და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი;
- აქვს თვითგანათლების, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- აქვს სამუსიკისმცოდნეო დარგის რესურსების ფართო სპექტრის გამოყენების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დამოუკიდებლად განსაზღვრა;
- შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.

ღირებულებები

- აქვს სამეცნიერო/შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი, ზრუნავს მათ განვითარებაზე და შესწევს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში;
- კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები, ნებისმიერ სიტუაციაში იცავს ამ ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები:

სამაგისტორო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა თეორიული და შემოქმედებითი/პრაქტიკული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარება სამუსიკო ხელოვნების მუსმცოდნეობის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს.

გარდა ამისა, სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/ სემინარები;
- სამეცნიერო პროდუქციის შექმნა;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის - შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (ელექტრონულ-კომპიუტერული სტუდია, საკონცერტო დარბაზი);
- სპეციალობის ძირათად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა თანდათანობით და უწყვეტი განათლების პრინციპით;

- მუსმცოდნეობის და კომპოზიციის დარგის გამოჩენილ მეცნიერთა მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შეაწავლა;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიების, დებატებისა და დისპუტების იმიტირება - წარმართვა;
- სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონცერტებში, ფესტივალებსა თუ სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სასწავლო გეგმა სპეციალობების მიხედვით

სასწავლო გეგმა მუსიკის ისტორიის/მუსიკის თეორიის სპეციალობით

#	saswavlo kursis dasaxeleba	*კრედიტები*
	specialuri saswavlo kursebis/modulebis bloki	
1	specialobis klasiს მოდული TH; specialobis klasiს მოდული H;	56
2	samagistro naSromis dacva	14
3	samusikismcodneo kvlevis meTodologia	3
	zogadi saswavlo kursebis/modulebis bloki	
1	XX s-is qarTuli musikis istoriuli problemebi	3
2	XX s-is musikaluri formebi	6
3	XX saukunis harmonia	6
4	polifonia XX saukunis qarTul profesiul musikaSi	3
5	musikalur-Teoriuli sistemebis istoria	3
6	musikis istoria (epoqis arCeviT)	3
7	Tanamedrove notacia	3
	humanitaruli saswavlo kursebis bloki	
1	kulturologia	6
2	xelovnebis menejmenti	3
3	arCeviTi sagnebi[1]	8
	kreditebis jami	120

1.სასწავლო გეგმაში ასახულია კრედიტებიდ რაოდენობა, სტუდენტის დატვისთვის სხვა ფორმები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები) იხ. შესაბამისი საგნის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.

[1] არჩევით საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლის, ან სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით. 240 კრედიტის ზევით სტუდენტის მიერ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მოპოვებული კრედიტები ასახვას ჰპოვებს დიპლომის დანართში.

სასწავლო გეგმა ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით

#	saswavlo kursis dasaxeleba	kreditebi
specialuri saswavlo kursebis/modulebis bloki		
1.	specialobis klasis moduli F	64
2.	samagistro naSromis dacva	14
zogadi saswavlo kursebis/modulebis bloki		
1.	qarTuli xalxuri simRerebis Semsrulebloba (Teoria da praqtika)	6
2.	qarTuli miTologia	3
3.	saqarTvelos eTnologia	3
4.	qarTuli zepirsityviereba	3
5.	qarTuli dialeqtologia	3
6.	qarTuli xalxuri sakravebi (Teoria da praqtika)	3
7.	msoflios xalxTa musikaluri folklori	3
8.	eTnomusikologia	4
humanitaruli saswavlo kursebis bloki		
1.	kulturologia	6
2.	xelovnebis menejmenti	3
3.	arCeviTi sagnebi	5
	kreditebis jami	120

1.სასწავლო გეგმაში ასახულია კრედიტებიდ რაოდენობა, სტუდენტის დატვისთვის სხვა ფორმები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები) იხ. შესაბამისი საგნის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.

2.საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით მუსიკალურ ეთნოგრაფიული პრაქტიკის გავლას (10 დღიანი ექსპედიცია).

3.არჩევით საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლის, ან სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით. 240 კრედიტის ზევით სტუდენტის მიერ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მოპოვებული კრედიტები ასახვას ჰპოვებს დიპლომის დანართში.

სასწავლო გეგმა saeklesio musikologiis specialobiT

#	saswavlo kursis dasaxeleba	kreditebi
specialuri saswavlo kursebis/modulebis bloki		
1	specialobis klasis moduli CHU	56
2	samagistro naSromis dacva	14
zogadi saswavlo kursebis/modulebis bloki		
3	liturgika	3
4	musikaluri paleografia	6
5	himnografiis istoria	3
6	qarTuli saeklesio galobis istoria da Teoria	6
7	Zveli qarTuli ena da literatura	6
8	qristianuli simbolika da kanonika	3
9	musikalur-Teoriuli sistemebis istoria	6
10	qarTuli saeklesio galoba	4
11	kulturologia	6
12	xelovnebis menejmenti	3
13	arCeviTi sagnebi	4
	kreditebis jami	120

1.სასწავლო გეგმაში ასახულია კრედიტებიდ რაოდენობა, სტუდენტის დატვისთვის სხვა ფორმები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები) იხ. შესაბამისი საგნის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.

2.არჩევითი საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

qulebi	qulebis asoiTi aRniSvna	Sefasebis aRniSvna
91 _ 100	A	friadi
81 – 90	B	Zalian kargi
71 _ 80	C	kargi
61 _ 70	D	damakmayofilebeli
51 _ 60	E	sakmarisi
41 – 50	FX	ver Caabara
0 _ 40	F	CaiWra

სწავლის შედეგების რუკა

	სასწავლო კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	სპეციალობის კლასი	x	x	x	x	x	x
2.	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა						
3.	სამუსიკისმცოდნეო კვლევის მეთოდოლოგია TH, H	x	x	x			
4.	XX ს-ის ქართული მუსიკის ისტორიული პრობლემები	x	x	x			x
5.	XX ს-ის მუსიკალური ფორმები	x	x	x		x	x
6.	XX საუკუნის ჰარმონია	x	x	x			x
7.	პოლიფონია XX საუკუნის ქართულ პროფესიულ მუსიკაში	x	x	x		x	x
8.	მუსიკალურ-თეორიული სისტემების ისტორია	x	x	x			
9.	მუსიკის ისტორია (ეპოქის არჩევით)	x	x		x	x	x
10.	თანამედროვე ნოტაცია	x	x				
11.	ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლობა (თეორია და პრაქტიკა)	x	x				x
12.	ქართული მითოლოგია	x	x				
13.	საქართველოს ეთნოლოგია	x	x	x	x		x
14.	ქართული ზეპირსიტყვიერება	x	x				
15.	ქართული დიალექტოლოგია	x	x				
16.	ქართული ხალხური საკრავები (თეორია და პრაქტიკა)	x	x				
17.	მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი	x	x		x		x
18.	ეთნომუსიკოლოგია	x	x	x			
19.	ლიტურგიკა	x	x				
20.	მუსიკალური პალეოგრაფია	x	x	x			
21.	ჰიმნოგრაფიის ისტორია	x	x	x			
22.	ქართული საეკლესიო გალობის ისტორია და თეორია	x	x	x			
23.	ძველი ქართული ენა და ლიტერატურა	x	x				
24.	ქრისტიანული სიმბოლიკა და კანონიკა	x	x				
25.	ქართული საეკლესიო გალობა	x	x		x		x
26.	ბიზანტიური საეკლესიო გალობის ისტორია	x	x	x			
27.	კულტუროლოგია	x	x			x	
28.	ხელოვნების მენეჯმენტი	x	x				

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამინური რესურსები:

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია შემოქმედებითი, პრაქტიკული და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები,ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.